სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

N 01-021802

ქ. თბილისი

18 თებერვალი 2015წ.

ჩვენ, ერთის მხრივ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორისვლადიმერ ლაზარიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „ონიანები“ (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ვასილ ონიანის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის,მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებლის შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც გაუწევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი და საგარანტიო პირობები

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შ.პ.ს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ბალანსზე რიცხული 3 ერთეული ავტოსატრანსპორტო სპეცსაშუალების (ავტოსატრანსპორტო სპეცსაშუალებების ჩამონათვალი მოცემულია დანართიN1-ში) ავტოტექმომსახურება- შეკეთება და ტექნიკური მომსახურება (შესყიდვის დანაყოფი - 50100000 სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები).

2.2. ტექნიკური მომსახურების დროს გამოყენებულ სათადარიგო ნაწილებზე ვრცელდება გარანტია 6 თვე (გარდა სწრაფცვეთადი ნაწილებისა).

2.3 საგარანტიო ვადის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას აღმოჩენილი წუნი/დაზიანება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. მომსახურების გაწევის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. ხელშეკრულების სავარაუდოჯამური ღირებულება შეადგენს 2235 (ორი ათას ორას ოცდათხუთმეტი) ლარს.

3.3. ერთეულის ღირებულებები მოცემულია დანართ 2-ში და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულიმომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიწოდების ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადს.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2015 წლის საკუთარი სახსრები.

4.4 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაციის - შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 კალენდარული დღის ვადაში.

4.5 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორებისთვის საჭირო დოკუმენტაცია მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს სათავო ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა ფშაველას გამზირი 76 ბ.

4.6 წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და ინსპექტირება

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მომსახურების გაწევის კონტროლი და ინსპექტირება.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს/ინსპექტირებას განახორციელებს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ლოჯისტიკის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე.

6 მომსახურების გაწევის პირობები

6.1მომსახურების გაწევა განხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან, ეტაპობრივად, მიმწოდებლის მიერ არაუგვიანეს 2015 წლის 28 თებერვლისა.

6.2 მომსახურება გაწეულ უნდა იქნას საქართველოს მაშტაბით დაუყოვნებლივ, რიგგარეშე, დანართი N2-ის შესაბამისად.

6.3 მომსახურების გაწევა განხორციელდება მიმწოდებლის მობილური ჯგუფის მეშვეობით.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს მომსახურების გაწევის შემდეგ შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს მძღოლი და შესაბამისი რეგიონული ფილიალის ტრანსპორტის ჯგუფის უფროსი.

7.2 საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს მოაწერს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ ლოჯისტიკის დეპარტამენტის ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვის სამმართველოს უფროსი;

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით.

8.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრულად ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, "მიმწოდებელი" ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, "შემსყიდველი" იტოვებს უფლებას

შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს "მიმწოდებელს" ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.
8.5 ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებიდან, იმ შემთხვევაში თუ მომსახურება არაა გაწეული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გაწეული მომსახურების ღირებულება ნაკლებია საჯარიმო თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღეში გადაიხადოს შემსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და გაწეული მომსახურების ღირებულებას შორის არსებული სხვაობა შემსყიდველის სასარგებლოდ.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4 შემსყიდველი ვალდებულია 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით აცნობოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე.
9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში..

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2015 წლის 30 მარტის ჩათვლით.
10.2 ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2 და 2.3 პუნქტები ძალაშია მთელი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ,,ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი

მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

14. შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

15.1. "შემსყიდველი" უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს "მიმწოდებლის" მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) ხელშეკრულების ფარგლებში გამოითხოვოს "მიმწოდებლისგან" მისთვის საჭირო დოკუმენტი.

15.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

ა) აუნაზღაუროს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

ბ) უზრუნველყოს წარმომადგენლის გამოყოფა, რომელიც ზედამხედველობას გაუწევს პროცესს და საჭიროების შემთხვევაში, "მიმწოდებელს" გაუწევს შესაბამის კონსულტაციას.

15.3. "მიმწოდებელი" უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს "შემსყიდველს" გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

15.4. "მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) მომსახურება გაწიოს სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

ბ) მომსახურება გაწიოს ახალი (ექსპლუატაციაში არ მყოფი) სათადარიგო ნაწილებით;

გ) უზრუნველყოს მისი ბრალეულობით ,,შემსყიდველისთვის'' მიყენებული მატერიალური და არა მატერიალური ზარალის ანაზღაურება.

15.5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

16. დამატებითი პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.3ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ერთი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია" მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველა N76ბ სს „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი კოდი: 220101480, LBRTGE22 ა/ა N GE77LB0113123325230012 ს/კ 412670097	შპს „ონიანები" ქ.თბილისი, ატონელის ქ. N29, ტელ: 599 418 724 სს „ლიბერტი ბანკი" კოდი: LBRTGE22 ა/ა GE72LB0113144105330000 ს/კ 404460631
ვლადიმერ ლაზარაშვილი დირექტორი	ვასილ ონიანი დირექტორი

დანართი 1

#	მარკა	მოდელი	სერიანომერი	გამოშვებისწელი
1	HIDROMEK	102 B	SZ-596	2011
2	HIDROMEK	102 B	CC-601	2011
3	JCB	1CX	MA-627	2008

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"

ვლადიმერ ლაზარიშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს ,,ონიანები"

ვასილ ონიანი
დირექტორი

#	მომსახურებისა და სათადარიგო ნაწილების დასახელება	განზომილება/ რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამური ფასი (ლარი)
	HIDROMEK 102 B	SZ-596 ქუთაისი		
1	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა	1 ცალი	20,00	20,00
2	ზეთი ძრავის 15W40	15 ლიტრი	8,00	120,00
3	ჰაერის ფილტრების შეცვლა	1 ცალი	10,00	10,00
4	ძრავის ზეთის ფილტრი	1 ცალი	55,00	55,00
5	საწვავის ფილტრის შეცვლა	1 ცალი	15,00	15,00
6	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	90,00	90,00
7	საწვავის სეპარის ფილტრის შეცვლა	1 ცალი	20,00	20,00
8	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	70,00	70,00
9	საწვავის ფილტრი	1 ცალი	40,00	40,00
10	საწვავის ფილტრი სეპარის	1 ცალი	60,00	60,00
11	სავალი ნაწილის და ძარის შეზეთვა	1 ცალი	50,00	50,00
12	საპოხი მეგუინი	1 კგ	12,00	12,00
13	მობილური ჯგუფის გადაადგილების საფასური 1კმ-ზე	500 კმ	0,30	150,00
	სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:			712,00
	HIDROMEK 102 B	SZ-601 გორი		
1	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა	1 ცალი	20,00	20,00
2	ძრავის ზეთის ფილტრი	1 ცალი	55,00	55,00
3	ზეთი ძრავის 15W40	15 ლიტრი	8,00	120,00
4	ჰაერის ფილტრების შეცვლა	1 ცალი	10,00	10,00
5	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	90,00	90,00
6	საწვავის ფილტრის შეცვლა	1 ცალი	15,00	15,00
7	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	70,00	70,00

8	საწვავის სეპარის ფილტრის შეცვლა	1 ცალი	20,00	20,00
9	საწვავის ფილტრი	1 ცალი	40,00	40,00
10	ზეთის დონეების და ხარისხის შემოწმება	1 ცალი	10,00	10,00
11	საწვავის ფილტრი სეპარის	1 ცალი	60,00	60,00
12	ელექტრონული სისტემის დათვალიერება	1 ცალი	30,00	30,00
13	ზოგადი ვიზუალური დათვალიერება დაზიანებებზე	1 ცალი	20,00	20,00
14	სავალი ნაწილის და ძარის შეზეთვა 63 წერტილი	1 ცალი	50,00	50,00
15	საპოხი მეგუინი KF2K-30 0.4 kg	3 ცალი	12,00	36,00
16	მართვის სისტემის ფუნქციონარური შემოწმება	1 ცალი	20,00	20,00
17	მობილური ჯგუფის გადაადგილების საფასური 1კმ-ზე	200 კმ	0,30	60,00
	სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:			**726,00**
	JCB 1CX MA-627 ქუთაისი			
1	ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლა	1 ცალი	20,00	20,00
2	ძრავის ზეთის ფილტრი	1 ცალი	40,00	40,00
3	ზეთი ძრავის 15W40	10 ლიტრი	8,00	80,00
4	ჰაერის ფილტრების შეცვლა	1 ცალი	10,00	10,00
5	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	70,00	70,00
6	საწვავის ფილტრის შეცვლა	1 ცალი	15,00	15,00
7	ჰაერის ფილტრი	1 ცალი	100,00	100,00
8	საწვავის სეპარის ფილტრის შეცვლა	1 ცალი	20,00	20,00
9	საწვავის ფილტრი	1 ცალი	30,00	30,00
10	საწვავის ფილტრი სეპარის	1 ცალი	20,00	20,00
11	სავალი ნაწილის და ძარის შეზეთვა 63 წერტილი	1 ცალი	60,00	60,00

12	საპოხი მეგუინი KF2K-30 0.4 kg	1 ცალი	12,00	12,00
13	ჰიდრავლიკური შლანგის მოხსნა დაყენება	1 ცალი	50,00	50,00
14	ჰიდრავლიკის შლანგი	1 ცალი	120,00	120,00
15	ცაცხვის ღეროს აღდგენა	1 ცალი	150.00	150.00
	სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით:			797,00

შემსყიდველი:

შპს "საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია"

ვლადიმერ ლაზარიშვილი
დირექტორი

მიმწოდებელი:

შპს „ონიანები"

ვასილ ონიანი
დირექტორი